# საქართველო
## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 14 25 ივნისი 2020 წელი

### სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის I კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, რომელიც მოსმენილი და შეფასებულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 25 ივნისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ბადრი კალანდარიშვილი